საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაწაძე სერაპიონ ნესტორის ძე



ს. ვაწაძე

ვაწაძე სერაპიონ ნესტორის ძე [19 (31). III. 1899, თბილისი, – 18. V. 1967, იქვე], სცენოგრაფი, კინოს მხატვარი, ფერმწერი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1946). 1925 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (პედაგოგები – გ. გაბაშვილი, ე. ლანსერე). 1920-იდან მხატვრულად გააფორმა სპექტაკლები საქართვ. თეატრებსა და დრამ. წრეებში. 1926–27 იყო ქუთაისის სახელმწ. დრამ. თეატრის მთ. მხატვარი. 1929-იდან მუშაობდა საქართვ. „სახკინმრეწვში” მხატვრად, ხოლო 1939–65 – მთ. მხატვრად. არის მრავალი საინტერესო ქართ. მხატვრული ფილმის დამდგმელი მხატვარი („ზვავთა მხარეში”, 1931; „უკანასკნელი ჯვაროსნები”, 1933; „ჭირვეული მეზობლები”, 1945; „ქართული ბალეტის ოსტატები”, 1955; „ჩრდილი გზაზე”, 1956; „ფატიმა”, 1958; „მამლუქი”, 1958; „ოტელო”, 1960; „კეთილი ადამიანები”, 1961; „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!”, 1965 და სხვ.). შექმნა მრავალი ფერწერული ტილო (პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტები). 1975 თბილისში მოეწყო ვ-ის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა.

ა. გვენცაძე